

# სოციალური ქსელები ელექტრონულ მონაწილეობაში

ელზა ბინაძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო

Eliza-bitsadze@mail.ru

ანოტაცია: სტატიაში განხილულია სოციალური ქსელების ინტეგრაციის საკითხები ელექტრონულ მონაწილეობაში. ნაშრომში მოცემულია სოციალური ქსელების განვითარების პერსპექტივები Web 2.0 პარადიგმის ფარგლებში. სტატიაში განხილულია საქართველოს მუნიციპალიტეტების ვებ-საიტების ინტეგრაცია სოციალურ ქსელებთან.

საკვანძო სიტყვები: სოციალური ქსელები, Web 2.0 ტექნოლოგიები, ელექტრონული მონაწილეობა

## I შესავალი

თანამედროვე ეტაპზე მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში სახელმწიფო მმართველობის რეფორმების მთავარ თემას წარმოადგენს არა მხოლოდ სახელმწიფო აპარატის მუშაობის ოპტიმიზაცია ან სახელმწიფო სერვისების ხარისხის ამაღლება, არამედ მოქალაქეების ჩართვა მართვის და გადანაცვლებების მიღების პროცესში Web2.0 ტექნოლოგიების უკუკავშირის მექანიზმების მეშვეობით, სადაც მნიშვნელოვან ადგილს სოციალური ქსელები იკავებენ.

2005 წელს ამერიკელმა მეცნიერმა ტიმ ო რეილიმ (Tim O'Reilly) თავის ცნობილ სტატიაში "What it Web 2.0 „ შემოიღო ტერმინი Web 2.0 - „ სისტემების პროექტირების მეთოდოლოგია, რომელიც

ქსელური ურთიერთობების შედეგად მით უფრო უმჯობესდება, რაც მეტი ადამიანი მათ მოიხმარს“. სახელმწიფო მმართველობის მიმართებაში ეს ნიშნავს იმას, რომ რაც მეტი ადამიანი იღებს მონაწილეობას სახელმწიფო გადანაცვლებების განხილვაში მით უფრო ეფექტურ გადანაცვლებას იღებს მთავრობა.

ევროკავშირმა და ცალკეულმა სახელმწიფოებმა (ამერიკის შეერთებული შტატები, კანადა, ავსტრალია) ბოლო დროს გამოაქვეყნეს 2020 წლამდე განვითარების სტრატეგიული დოკუმენტები, რომლებშიც განერილია სახელმწიფოსა და მოქალაქეებს შორის ურთიერთობების ყველა სპექტრის რადიკალური ტრანსფორმაციის გეგმა Web 2.0 პარადიგმის ფარგლებში.

ბოლო წლებში განსაკუთრებით აქტუალური გახდა ინტერნეტ-რესურსების სოციალიზაცია. უკვე თითქმის ყველა ინტერნეტ რესურსებში (სახელმწიფო უწყებების ვებ-საიტი, ინტერნეტ მაღაზია, საძიებო სისტემა) განხორციელებულია სოციალურ ქსელებთან ინტეგრაცია.

## II სოციალური ქსელების განვითარება

სოციალური ქსელები წარმოადგენენ ყველაზე მოთხოვნად ვებ-რესურსებს ინტერნეტში.

ბოლო წლებში მსოფლიოში სწრაფი ტემპებით იზრდება სოციალურ ქსელების მომხმარებელთა რაოდენობა, რაზეც ნათლად მიუთითებს ნახაზი 1 მოყვანილი 2015 წლის მარტში სოციალური ქსელების მომხმარებლების ყოველთვიური აქტივობის მონაცემები [1]

ვების საფუძველზე მეცნიერები გამოყოფენ სოციალური ქსელების განვითარების სამ დონეს:


Web 1.0 – პირველი სოციალური ქსელები საბაზისო ფუნქციონალური შესაძლებლობებით.

Web 2.0 – თანამედროვე სოციალური ქსელები ურთიერთობის ფართო ფუნქციონალური შესაძლებლობებით.

Web 3.0 – მომავალი სოციალური ქსელები, რომლებიც გადანაცვებენ კონკრეტულ პრობლემებს.

სოციალური ქსელები ძირითადად ვითარდებოდნენ რაოდენობრივი გზით მოიცავდნენ რა სულ უფრო მეტ მომხმარებლებს, მაგრამ დღესდღეობით ისინი გადადიან ხარისხობრივი განვითარების სტადიაზე წერგავენ რა თავის საქმიანობაში მომხმარებელთან უთიერთობის სულ უფრო ახალ სერვისებს Web 2.0 პარადიგმის ფარგლებში.[2]

საქართველოში სოციალურ ქსელს Facebook 2015 წლის აპრილის მონაცემებით 940 000 მომხმარებელი ჰყავს [3]



ნახ .1 მსოფლიოს სოციალური ქსელები მომხმარებლების ყოველთვიური აქტივობის მიხედვით (მილიონი)

სოციალური ქსელების პოპულარობიდან გამომდინარე განსაკუთრებულ

მნიშვნელობას იძენს მათი გამოყენება ელექტრონულ მონაწილეობაში.

ელექტრონული მონაწილეობის რეალიზაციას გააჩნია ორი მნიშვნელოვანი ასპექტი. პირველი ასპექტია ის, რომ სახელმწიფო მმართველობის და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ვებ-საიტებზე აუცილებლად უნდა იყოს განთავსებული მომხმარებლისათვის მარტივი და ხელმისაწვდომი ელექტრონული მონაწილეობის ინსტრუმენტები. მეორე ასპექტი დაკავშირებულია მოქალაქეების აქტივობის ხარისხთან ამ ინსტრუმენტების ეფექტურად გამოყენებაში და მათი აზრის გათვალისწინებაში მნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიკური გადაწყვეტილებების შემუშავებასა და მიღებაში.

უკუ კავშირების (feedback) ეფექტური მექანიზმები ვებ-საიტებზე ხელს უწყობს მოქალაქეების და ორგანიზაციების ელექტრონული მონაწილეობას მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებისას და ხელისუფლების ორგანოების ადექვატურ რეაგირებას მოქალაქეების, ბიზნესის და არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართებებზე. კარგად ორგანიზებული უკუ კავშირის მექანიზმები მნიშვნელოვნად ამარტივებენ მოქალაქეების მიერ ინფორმაციის მიღებას და უზრუნველყოფენ სახელისუფლებო ორგანოების მიერ მოქალაქეების სხვადასხვა ჯგუფების აზრის ანალიზის შესაძლებლობას.[4]

მსოფლიო განვითარებული ქვეყნების მთავრობები აქტიურად ნერგავენ თავის ვებ-საიტებზე ისეთ ონლაინ საშუალებებს როგორცაა: გამოკითხვები, განხილვები, ჩატი, ბლოგები, სოციალური ქსელები,

გერმანიაში ბოლო დროს პოპულარულია სოციალური ქსელების ინტეგრაციის პროექტები სახელმწიფო ინფორმაციულ სისტემებში. საჯარო მოხელეები განათავსებენ ქსელში გამოკითხვის ფურცლებს, ხოლო მოქალაქეები მასზე პასუხს გაცემენ. მოქალაქეთა პასუხები მიწოდება მონაცემთა დამუშავების ცენტრს,

რომელიც დაკავშირებულია სახელმწიფო ერთიან პორტალთან და მასზე შესაძლებელია დროის რეალურ რეჟიმში გამოკითხვის შედეგების ნახვა. ასეთი პროექტები რეალიზებულია ვებ-საიტზე [www.gov20.de](http://www.gov20.de) აღსანიშნავია, რომ მოქალაქემ პასუხზე შეიძლება მიამაგროს ტექსტური ფაილი, სურათი, ადგილმდებარეობა რუქაზე. [5] უკუკავშირის სისტემების გამოყენებას ყოველთვის არ მივყავართ კონკრეტულ შედეგამდე რადგან საჯარო მოხელე ვალდებული არ არის და არ იძლევა იმის გარანტიას რომ პასუხს გაცემს ყველა მოქალაქეს სოციალურ ქსელში. მოქალაქეები თავის მხრივ კი ელიან ოფიციალურ დოკუმენტს და არა პოსტს სოციალურ ქსელში..

### III ადგილობრივი თვითმმართველობის ვებ-საიტების ინტეგრაცია სოციალურ ქსელებთან

დღესდღეობით მსოფლიო განვითარებულ ქვეყნებში განხორციელდა სახელმწიფო მმართველობის და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების განთავსება სოციალურ ქსელებში. Web 2.0 ტექნოლოგიების განვითარებამ და ინტერნეტ მომხმარებლების მიერ შექმნილი კონტენტის ზრდამ განაპირობა ის, რომ სახელმწიფო ინფორმაციული სივრცის მონაწილეები არიან არა მარტო საჯარო მოხელეები, არამედ ნებისმიერი მოქალაქეები, რომლებიც სოციალურ ქსელებში განათავსებენ კომენტარებს, გამოხმაურებებს, ვიდეოჩანაწერებს, ფოტოებს სახელმწიფო მმართველობის და ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხებზე.

უკვე მრავალი მილიონი ვებ-საიტი ინტეგრირებულია პოპულარულ სოციალურ ქსელებთან სხვადასხვა ინსტრუმენტების მეშვეობით:

1.სოციალურ ქსელში ინფორმაციის გაგზავნის ღილაკები

2. ღილაკები „მომწონს“ (ფეისბუკის მომხმარებლების მიერ ყოველდღიურად 7 მილიონი “დალაიკება” ხორციელდება)

3.სოციალური ქსელების მეშვეობით კომენტარების ინსტრუმენტები.


ჩვენ მიერ ანალიზი ჩატარდა საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის ვებ-საიტების სოციალურ ქსელებთან ინტეგრაციას. გამოკვლეული იქნა 51 ვებ-საიტი (დანარჩენ ადგილობრივი თვითმმართველობის ვებ-საიტებზე წვდომა ანალიზის ჩატარების დროს არ იყო შესაძლებელი)

გამოკვლეული ვებ-საიტებიდან მხოლოდ ორზე არის განთავსებული 3 სოციალური ქსელი (Facebook, Twitter, YouTube ), 4 ვებ-საიტზე ორი სოციალური ქსელი (Facebook, YouTube), ხოლო 17 ვებ-საიტზე მხოლოდ

Facebook არის ინტეგრირებული. აღსანიშნავია, რომ 27 ვებ-საიტს საერთოდ არ გააჩნიათ სოციალურ ქსელთან ინტეგრაცია.

ნახაზი 2 მოცემულია საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის ვებ-საიტების სოციალურ ქსელებთან ინტეგრაციის მონაცემები.

ქართულ სინამდვილეში ამ მხრივ გამორჩეულია თბილისის მუნიციპალიტეტის ვებ-საიტი [www.tbilisi.gov.ge](http://www.tbilisi.gov.ge). აღნიშნულ ვებ-საიტზე შესაძლებელია სოციალურ ქსელებთან (Facebook, Twitter, YouTube) ინტეგრაცია, სოციალურ ქსელზე სიახლის გაზიარება (Facebook, Twitter) და ასევე მომხმარებლებისთვის კომენტარის გაკეთება.[6]



## ნახ. 2 საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის ვებ-საიტების ინტეგრაცია სოციალურ ქსელებში

მსოფლიო მსხვილი ინფორმაციული ტექნოლოგიების კომპანიების (IBM, Google, Oracle) აზრით ინტერნეტის განვითარების ძირითად მიმართულებად უახლოეს 5-10 წლის განმავლობაში წარმოადგენს Web 3.0 რომელიც დაფუძნებულია ინფორმაციის „ჭკვიან“ დამუშავებაზე. ამ ახალი პარადიგმის მიხედვით არა მომხმარებლები, არამედ მანქანები ახორციელებენ ინფორმაციის ძიებას მათ შორის ვიდეო და ციფრული გამოსახულებითაც მეტამონაცემებზე და მეტაბაზებზე დაყრდნობით.[7] მაგალითად ფეისბუკი ინახავს თავის მომხმარებლებზე 300 მილიონ გიგაბაიტ ინფორმაციას.

Web 3.0 ორგანიზაციის იდეა წინა მოდულებისაგან განსხვავებით მდგომარეობს სახელმწიფო სერვისების სტანდარტული მიწოდების პრაქტიკიდან თითოეული მოქალაქის ინდივიდუალურ მოთხოვნილობების გათვალისწინებით მიწოდებაზე გადასვლას. შესამუშავებელია ისეთი სისტემა რომელიც იოლად იქნება ადაპტირებული თითოეული მოქალაქის საჭიროებებზე და მოთხოვნილობებზე. კომპიუტერის პროგრამული უზრუნველყოფის ანალოგიის მიხედვით ეს არის თავისებური ინტერფეისი, რომელიც ითვალისწინებს თითოეული მოქალაქის ინდივიდუალურ მოთხოვნილობებს და ეხმარება მათ სახელმწიფო უწყებებთან სწრაფად და ეფექტურად ურთიერთქმედებაში. Web 3.0 ტექნოლოგიების დანერგვა კიდევ უფრო გაზრდის სოციალური ქსელების პოპულარობას და ახალ ხარისხობრივ დონეზე გადაიყვანს ელექტრონულ მონაწილეობას.

### IV დასკვნა

მსოფლიოში სოციალური ქსელების ბაზარი უკვე გაჯერებულია, რაც იწვევს კონკურენციის გაძლიერებას. კონკურენტულ ბრძოლაში კი ერთ-ერთი მთავარი ხერხი არის ინოვაციები. სოციალურ ქსელებში ინოვაციები ვლინდება მათი ახალი ფუნქციების განვითარებაში Web 2.0 და უკვე Web 3.0 ტექნოლოგიების გამოყენებით.

სამწუხაროდ სახელმწიფო ორგანოების უმეტესობა არ იყენებს ინტერნეტის უკუკავშირის არხებს მოქალაქეებიდან და ბიზნეს სექტორიდან ინფორმაციის მისაღებად. თანამედროვე ეტაპზე საქართველოს მთავრობა ელექტრონული მონაწილეობის განვითარებას უმეტესწილად ხელისუფლებაზე ორიენტირებული მიდგომით ახორციელებს. (საჯარო დანერგულებების ვებ-საიტებზე მხოლოდ ინფორმაციის განთავსება), ხოლო საზოგადოებაზე გამომწვეული ელექტრონული მონაწილეობის ფორმებს უმნიშვნელო ყურადღებას უთმობს.

გამოყენებული ლიტერატურა და ვებ-რესურსები

- [1] Leading social networks worldwide as of March 2015, ranked by number of users <http://www.statista.com/statistics/global-social-networks-ranked-by-number-of-users/>
- [2] ბინაძე ელზა „სოციალური ქსელების განვითარების თანამედროვე ტენდენციები“ მეექვსე საერთაშორისო სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენცია „ინტერნეტი და საზოგადოება“

ქეთაისი. 2013 წ. გვ. 20 – 25

[3] Socialbakers

[http://www.socialbakers.com/statistics  
/facebook](http://www.socialbakers.com/statistics/facebook)

[4] Panopoulou E. , Tambouris E., Tarabanis K.

"e-Participation initiatives, how is Europe  
progressing" European journal of e-Practice  
7, 115-26

[5] Government 2.0 Netzwerk Deutschland

<http://www.gov20.de>

[6] ქალაქ თბილისის მერია

<http://www.tbilisi.gov.ge>

[7] Silver Charles "Why Web3.0, the Semantic

Web, will be even disruptive than Web1.0 "

2014